# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

11 აგვისტო
ხუთშაბათი
2022 წელი
№32 (9242)
ფასი 40 თეთრი


## საინფორმაციო შეხვედრა მერიაში



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერიაში, ტერიტორიული რეზერვის შექმნის თაობაზე, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე დამსწრეებს ტერიტორიული რეზერვის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს მე-10 კადრირებული ბრიგადის 104-ე კადრირებული ბატალიონის ვიცე-პოლკოვნიკმა გოჩა ბათაძემ, 104-ე ბატალიონის შტაბის უფროსმა კაპიტანმა სპარტაკ სტეფანოვმა და სერჟანტმა თამაზ ნიკოლავამ.

ტერიტორიული რეზერვი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროექტია, რომელსაც ეროვნული გვარდია ახორციელებს და რომელშიც რეგისტრაცია შეუძლია საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებს 18-დან 51 წლის ჩათვლით, მათ შორის სტუდენტებს 18-დან 22 წლის ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ ტერიტორიულ რეზერვში ჩარიცხულ მოქალაქეებს გაუფორმდებათ 4 წლიანი ანაზღაურებადი კონტრაქტი. ასევე, რეზერვისტი უზრუნველყოფილი იქნება სოციალური და სამართლებრივი დაცვით. მოქალაქეები გაივლიან 45 დღემდე ინტენსიურ საბრძოლო მომზადებას, რომელიც თანაბრად გადანაწილდება 12 თვეზე და რეზერვისტებს ხელი არ შეეშლებათ მათი ძირითადი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას.

შეხვედრას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **– ოთარ არბოლიშვილი,** მოადგილე **– გიორგი ტაბატაძე,** ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს



**წაღვერი-ტიმოთესუბანი-ტაძარის** საავტომობილო გზის 2 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს.

პროექტით გათვალისწინებულია საგზაო სამოსის რეაბილიტაცია, კიუვეტების, არსებული ხელოვნური ნაგებობების შეკეთება და ახლების მოწყობა, გზის სავალი ნაწილის გაგანიერება, ადგილობრივ გზებთან მიერთებებისა და მოსახლეობის ეზოში შესასვლელების მოწყობა

განახლებული გზა უზრუნველყოფს კურორტ წაღვერიდან სოფელ ტიმოთესუბნამდე კომფორტულ მგზავრობას, გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1.8 მლნ. ლარით ფინანსდება და მისი დასრულება მიმდინარე წლის სექტემბერში იგეგმება

## შეხვედრა განათლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის

**განათლების** ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით გაიმართულ შეხვედრას, რომელსაც ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სკოლამდელი განათლების სპეციალისტი **ნინო გელაშვილი** ესწრებოდა, განხილულ იყო ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული საკითხები.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის მხარეში მოქმედი მუნიციპალიტეტის მერიისა და საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების წარმომადგენლები. საგანმანათლებლო რესურსცენტრების სკოლამდელი განათლების სპეციალისტები, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული დაწესებულებები.

შეხვედრას უძღვებოდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **ნინო ხითარიშვილი.** ქ-მა ნინომ ისაუბრა პროცედურებზე, თუ რის გავლა მოუწევთ დაწესებულებებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საქმიანობის განხორციელების მოსაპოვებლად. შეხვედრაზე განხილული იქნა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების პირველადი ვერსია, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების, კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულებების ნორმებისა და შენობა-ნაგებობების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობასთან დაკავშირებული ტექნიკური რეგლამენტების გადამუშავებული ვერსიები.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში გაწერილია ავტორიზაციის პროცესის გარდამავალი პერიოდი, როდესაც სისტემა მთლიანად უნდა აიწყოს და შესაბამისად განხორციელდეს დაწესებულებების ავტორიზაცია. პროცესი მოიცავს 2022 წლიდან 2030 წლამდე პერიოდს და იყოფა ორ ნაწილად. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების პირველადი რეგისტრაცია, რეგის-



ტრაციის ბოლო ვადად განისაზღვრა 2022 წლის 31 დეკემბერი. ამ პროცესს ბორჯომის მუნიციპალიტეტში უძღვება საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება. 2023 წელს დაწესებულებებს მიეცემათ საშუალება სტანდარტთან მიმართებაში განახორციელონ თვითშეფასება, არსებობის შემთხვევაში გამოკვეთონ გამოწვევები და საჭიროებები. 2024 წელს წინასწარ გადამზადებული სპეციალისტების მიერ მოხდება მონაცემების დამუშავება და განისაზღვრება თითოეული ბაღის საჭიროება. საბავშვო ბაღებს ექნებათ გარკვეული დრო მოვიდნონ სტანდარტთან შესაბამისობაში. 2025 წლიდან დაიწყება საბავშვო ბაღების ავტორიზაციის მეორე ეტაპი, რომელიც დასრულდება 2030 წელს. დაწესებულებებს წინასწარ ექნებათ ინფორმაცია როდის მოუწევთ ავტორიზაციის გავლა.

მოგეხსენებათ, 2019 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ყველა მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრში აიყვანა სკოლამდელი განათლების სპეციალისტი.

– ჩვენი, როგორც სკოლამდელი განათლების სპეციალისტების როლი განსაკუთრებით ღირებულია სკოლამდელი დაწესებულებებისა და მუნიციპალიტეტების ადგილობრივი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად ავტორიზაციის პროცესის პირველ ეტაპზე (თვითშეფასება). განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ილებს პასუხისმგებლობას ავტორიზაციის პროცესსა და პროცედურებზე, გეგმავს ამ მიმართულებით გადაგვამზადონ მუნიციპალიტეტის რესურსცენტრების სპეციალისტები, რადგან ავტორიზაციის პროცესში ჩვენ ვიქნებით რგოლი, რომლებიც ადგილზე გავუწევთ კონსულტაციას ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებს. დავეხმარებით საჭიროებების იდენტიფიცირებასა და სწორ რეფერირებაში.

ვფიქრობ, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი თორმეტივე საბავშვო ბაღი შეძლებს სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას და 2030 წლიდან თორმეტივე საბავშვო ბაღს ექნება უფლება შესაბამისი სერვისი მიაწოდოს საზოგადოებას. ჩვენთვის, ყველა ჩართული რგოლისთვის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს ბავშვი, ამიტომ ჩვენი ვალდებულებაა თითოეული ბავშვი იღებდეს მაღალი ხარისხის სერვისს. აუცილებელია თითოეულ ჩვენგანს გააზრებული გვქონდეს ჩვენი მისია, ხედვა და ღირებულებები, რათა ხელი შევუწყოთ ამ პროცესების ხარისხიან წარმართვას, - აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ნინო გელაშვილმა.

**იზა იანვარაშვილი**

## თქვენი დამსახურება ფასდაუდებელია



**ღვაწლმოსილ ქალბატონს ბორჯომის საკრებულოს წევრს, ვიოლეტა ბალახაშვილს ვულოცავ 70 წლის იუბილეს!**

ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და დიდხანს სიცოცხლეს! ქალბატონი ვიოლეტა ბალახაშვილის წვლილი განუზომელია ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების განვითარების საქმეში. იგი მრავალი წელი ხელმძღვანელობდა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. სწორედ მისი დაუღალავი შრომის შედეგია, რომ მუზეუმი დღემდე ფუნქციონირებს.

გარდა ამისა დღემდე აქტიურად არის ჩართული საკრებულოს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა საინიციატივო საქმიანობაში.

ვიოლეტა ბალახაშვილის ძალისხმევითა და ინიციატივით დაწესდა სოფელ ტაძრისში მოღვაწე დიდი სასულიერო პირის გიორგი მთაწმინდელისადმი მიძღნილი მოხსენიების დღე, რომელიც ყოველი წლის 10 ივნისს აღინიშნება.

**ოთარ არბოლიშვილი,**
**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი.**

## დიდხანს ყოფილიყოს ხალხის სამსახურში



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, მეორე მოწვევის მაჟორიტარ დეპუტატს ტაძრისის თემიდან, ქალბატონ ვიოლეტა ბალახაშვილს უდიდესი პატივისცემით ვულოცავ 70 წლის იუბილეს.**

მისი წვლილი დიდია ბორჯომის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ის მრავალი წელი ხელმძღვანელობდა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და დაუღალავად შრომობდა თითოეული ექსპონატის გადარჩენისთვის. ახლა კი გამოცდილებასა და ენთუზიაზმს თავისი თემის უკეთესი მომავლისთვის იყენებს. მას მრავალი იდეა აქვს, რომელთაც ბორჯომის მუნიციპალიტეტის თანადგომით ახორციელებს. სწორედ, ქალბატონი ვიოლეტას და ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია ყოველ წელს სოფელ ტაძრისში გიორგი მთაწმინდელობის გრანდიოზულად აღნიშვნა.

ვუსურვებ მას ჯანმრთელობას, მხნეობას და ქალაქის საკეთილდღეოდ დიდხანს სიცოცხლეს.

**დავით ზაალიშვილი,**
**ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.**

## 8 აგვისტოს დაღუპულ გმირებს პატივი მიაგეს



**2008 წლის 8** აგვისტოს ომის 14 წლისთავთან დაკავშირებით, ბორჯომის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** და მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ** ბორჯომის საკრებულოს „ქართული ოცნების“ წევრებთან ერთად, დაბა ახალდაბაში აგვისტოს ომში დაღუპული გმირების **დევი ჩადუნელისა** და **შალვა გაბუნიას** სახელობის მემორიალი ყვავილებით შეამკეს და პატივი მიაგეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ბორჯომელი გმირების ხსოვნას.

ღონისძიებას აგვისტოს ომში დაღუპული ბორჯომელი სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრები და მეგობრები დაესწრნენ.

აგვისტოს ომში სამცხე-ჯავახეთიდან ექვსი ჯარისკაცია გარდაცვლილი.

## ცირკი „მირაჟი“



**13 აგვისტოს, 18:00 საათზე, ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკის კინოთეატრის დარბაზში, თბილისის ცირკი „მირაჟი“ საცირკო წარმოდგენას გამართავს.**

**ფასი 5 ლარი.**

# სალომე ზურაბიშვილმა, ადეიშვილის „ღამის ნოტარიუსის" ნუნუ გინტურის „ძალისხმევით", თვრამეტი ბინის მიმტაცებელი, თაღლითი შეიწყალა!



**საქართველოს მეხუთე მოწვევის პარლამენტის წევრი თამაზ გელაშვილი, რომელსაც ავადსახსენებელი ზურაბ ადეიშვილის „ღამის ნოტარიუსის" ნუნუ გინტურის თანამეინახემ – ერთხელ უკვე ნასამართლევმა ზაზა მაღლაფერიძემ სასამართლოში პროვოკაცია მოუწყო, თაღლითებს ამხელს და აცხადებს, რომ ყალბისმქმნელები და გამომძალველები, რომლებმაც მილიონობით დოლარის ღირებულების ქონება მიიტაცეს და ასეულობით ადამიანი „გადააგდეს", სასამართლოსა და პროკურატურაში ჩანერგილი ნაცების მხარდაჭერისა და მფარველობის გარეშე ამდენს ვერ გაბედავდნენ:**

– მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება" ხელისუფლებაში მოვიდა, სულ ვიხვეწები, რომ დამკითხონ და პასუხისგებაში მისცენ ორი ყაჩაღი **ირაკლი ოქრუაშვილი და ადეიშვილის** „ღამის ნოტარიუსი" **ნუნუ გინტური!** 2004 წლის 24 აპრილს, 10 საათზე, ვაკე-საბურთალოს პროკურორმა გეთიამ მიმიყვანა მაშინდელ გენერალურ პროკურორ **ირაკლი ოქრუაშვილთან**, რომელმაც კაბინეტში ერთი საათი მალოდინა... 11 საათზე, როცა სააკაშვილის პარლამენტის პირველი სხდომა გაიხსნა და, როგორც ძველი პარლამენტის წევრმა, იმუნიტეტი დავკარგე, ოქრუაშვილმა მუშტი მაგიდაზე დაარტყა და გამომიცხადა – **ჩითახევჰესის აქციები დააწყვეო!** რომ არ დავაწყო-მეთქი? **თქვენზე ყველაფერი ვიცით, ქვემო ვერაზე სამი ბინა გაქვს, სამივეს წაგართმევთ და სამი გოგო რომ გყავს, სამივე ქუჩაში დაგრჩებაო!**

● **ბატონო თამაზ, ეს ვინ გითხრათ?**

– ამას უკვე მეუბნება **ოქრუაშვილის მოადგილე ჯანაშია**, მეტსახელად „სინგაპურა". ოქრუაშვილს რომ ვუთხარი – აქციები ბანკშია და თან სესხი მაქვს აღებული-მეთქი! – მაშინ მიპასუხა, – **800 ათასი ლარი „ქართული არმიის განვითარების ფონდში" შეიტანეო!** ერთი საათი მომცეს. რაღა უნდა მექნა, მოვუწერე ხელი ყველაფერზე. შინ რომ მივედი, თურმე, უკვე გაჭაღარავებული ვიყავი და უფროსმა ქალიშვილმა, რომელიც ექიმია, დანახვისთანავე იკივლა – **მამა, ეს რა მოგსვლია, რა დღეში ხარო?!** მივდივარ, შვილებო, ვალეს გზით თურქეთში უნდა გადავიდე-მეთქი! – მერე, მამა, ჩვენ ვის ხელში გვტოვებ, სამივეს დაგვიჭერენ და მთელ ოჯახს გაგვაუბედურებენო! ამის შემდეგ სადღა უნდა წავსულიყავი?! **ამ ამბიდან რამდენიმე თვეში 30 მილიონი დოლარის ღირებულების ჩითახევჰესის აქციები ბანკიდან გამომატანინეს და მეათედ ფასად, 3 მილიონ დოლარად, მიმაყიდვინეს გასიებული კახა ბენდუქიძისთვის, მაგრამ ის 3 მილიონიც არ მომცეს!**

● **ანუ ყველაფერი წაგართვეს?**

– დიახ, ყველაფერი წამართვეს! ისეთი ფაქტები მაქვს **ოქრუაშვილის** წინააღმდეგ, რომ მხოლოდ ჩემი ჩვენების საფუძველზე შეიძლება მაგის ციხეში ამოლპობა. ვუჩივლე კიდეც მაგას და **ნუნუ გინტურს** – ადეიშვილის „ღამის ნოტარიუსს", რომელმაც აურაცხელი ხალხი „გადააგდო" და მათ შორის, მე და ჩემი მეუღლეც, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, კაციშვილი ხელს არ ატოკებს!



● **ნუნუ გინტურსა და თქვენს შორის სასამართლო დავა დიდი ხანია, გრძელდება...**

– ბინათმშენებლობის სამ ამხანაგობაში – **„ბაკურიანში", „გოგებაშვილის 34"-სა და „ვანის ქუჩაზე" ადეიშვილის „ღამის ნოტარიუსი" ნუნუ გინტური** ჩემი მეუღლის პარტნიორი იყო. 2008 წელს იმის გამო, რომ გინტური აღმოჩნდა ქურდი, თაღლითი და ყველაფრის მკადრებელი, ოფიციალურად, ნოტარიულად გავედი ამ ამხანაგობიდან და ვუჩივლე მაგ ნაძირალას. გამოხდა ხანი და 2010 წელს ბანკიდან შემატყობინეს, რომ, თურმე, ამ გარეწარ ნუნუ გინტურს შეუდგენია ყალბი კრების ოქმი, რომელსაც ვითომდა თავმჯდომარეობდი მე, დაუთარიღებია 2007 წლის ივნისით და ბანკიდან ამხანაგობის სახელით გამოუტანა 700 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობის სესხი.

● **დღეს ამ საქმეზე რა ვითარებაა?**

– თაღლითმა გინტურმა უზენაესში ეს პროცესი წააგო და სოლიდარულად ვალის გასტუმრებაც იკისრა, მაგრამ, როგორც ყველა თაღლითს, თავის სახელზე არაფერი აქვს დარეგისტრირებული. ამიტომ ბანკმა ეს ფული ამოიღო ამხანაგობიდან. **რაც შეეხება გინტურს, ეს ნაძირალა, რომელმაც თავის უფროს შვილს ლონდონის ცენტრში ბინა უყიდა, დღეს მიჩნეულია „უმწეოდ", არაფრის მქონებლად და სასამართლოში ბაჟსაც კი არ იხდის.** უფრო მეტიც, 2008 წლის შემდეგ **ნუნუ გინტურმა** სამივეგან ამხანაგობის თავმჯდომარედ დაანიშნა თავისი მეუღლის ბიძაშვილი **ზაზა მაღლაფერიძე**, რომელმაც **„გოგებაშვილის 34"-ში** მიითვისა 2 ბინა, ხოლო ამხანაგობა **„ბაკურიანში" 16 ბინა.**

2017 წელს **ზაზა მაღლაფერიძე** ბინის თაღლითური გზით მითვისების გამო დაიჭირეს, მაგრამ ნუნუ გინტურმა სასამართლოსა და პროკურატურაში საქმე ჩააწყო და თაღლითს ხუთწლიანი პირობითი შეუფარდეს, ხოლო 2021 წელს ნუნუ გინტურმა იმდენი მოახერხა, რომ სალომე ზურაბიშვილს თაღლითი და პროვოკატორი ზაზა მაღლაფერიძე შეაწყალებინა, ანუ საქართველოს პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა, ადეიშვილის „ღამის ნოტარიუსის" ნუნუ გინტურის „ძალისხმევით", თვრამეტი ბინის მიმტაცებელი თაღლითი ზაზა მაღლაფერიძე შეიწყალა.**

მაღლაფერიძემ და გინტურმა გააკოტრეს სამივე ამხანაგობა და დაახლოებით 75 ოჯახი, რომლებსაც 2007 წლის ბოლოს უნდა მიეღოთ ბინები, ჰაერში არიან გამოკიდებული. **დღეს ამხანაგობა „გოგებაშვილი 34"-ის ამხანაგობის თავმჯდომარე მარინა ზურაბიშვილი ზაზა მაღლაფერიძეს ყველგან უჩივის, მაგრამ კოალიციიდან და პროკურატურიდან გასაოცარ პასუხებს იღებს – ეს საქმე სამოქალაქოა და სასამართლოში იდავეთო!** ეი. 2019 წელს მაღლაფერიძე, რომელიც ერთი ბინის მითვისების გამო დაიჭირეს, დღეს თვრამეტი ბინის მითვისების გამო არ იჭერენ! კი მაგრამ, ამ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს?

– ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, **ნუნუ გინტური შეკრული იყო ნაცებთან**, ნაცების პროკურორებთან და მოსამართლეებთან და ეს ტენდენცია გრძელდება დღესაც, რადგან ყველგან ნაცების პროკურორები და მოსამართლეები არიან ჩანერგილი. სხვათაშორის, 2018 წელს ტელევიზიამ გადმოსცა, რომ ნუნუ გინტურმა სადღაც გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, აბესაძის ქუჩაზე, რომელიღაც ამხანაგობიდან თაღლითური გზით კიდევ მიითვისა 700 ათასი ამერიკული დოლარი! დაიჭირეს 700 ათასი დოლარის მიმთვისებელი თაღლითი, მაგრამ პროკურორებმა 50-ათასიანი გირაოთი გაათავისუფლეს!

● **რა მოხდა თქვენსა და ზაზა მაღლაფერიძეს შორის 26 მარტს საქალაქო სასამართლოში?**

– ახალციხის სასამართლომ ზაზა მაღლაფერიძესა და დამფუძნებლებს დააკისრა 347 ათასი ლარის გადახდა ამხანაგობა „ბაკურიანის" მშენებლობის დასასრულებლად. აღსრულების ბიურომ მაღლაფერიძისა და გინტურის მიერ შეთითხნილი საბუთებით იქ ჩემი სიძის კუთვნილი მიწა უკანონოდ გაყიდა და ეს ფული ამ გზით ამოიღო. სწორედ ამის გამო ვუჩივლე ამ თაღლითებს და ამდენა ფინანსური ვალდებულებები რომ გადაეფარათ, მომიწყვეს პროვოკაცია! კიდევ ერთხელ ვიმეორებ – გინტურსა და მაღლაფერიძეს „ბაკურიანში" 16 ბინა აქვთ მითვისებული და გინტურისავე მიერ დამოწმებული. ბინები გადაფორმებულია გინტურის უფროსი შვილის ცოლზე, ცოლის მამაზე და კიდევ ერთ ნათესავზე ნონა დოთიაშვილზე.

● **მაინც რა პროვოკაცია მოგიწყოთ ზაზა მაღლაფერიძემ?**

– 2022 წლის 26 მარტს სასამართლო სხდომის დასრულების დროს, როცა მოსამართლე დარბაზიდან გავიდა, ზაზა მაღლაფერიძე ზურგიდან მომიახლოვდა, თავი დახარა და ჩუმად მითხრა: დედას გიტირებო! ამის შემდეგ წელში გასწორდა და ხმამაღლა თქვა – ყველაფერს დაგიყადაღებო! გარდაცვლილი დედის აუგად ხსენება ვერ მოვითმინე და ნაძირალა ზაზა მაღლაფერიძეს ხელი მოვუქნიე! მან მოასწრო და ჩემს ხელს სახესთან ხელი დაახვედრა, ანუ არ მოხვედრია, რაც ვიდეოკადრებშიც კარგად ჩანს. ეს მოხდა თუ არა, მაღლაფერიძემ ხელი აქეთ მკრა და დარბაზში წამაქცია. ამის შემდეგ ყვირილი ატეხა – გელაშვილმა ხელი დამარტყა და პოლიცია მოიყვანეთო!

● **მერე რა მოხდა?**

– რამდენიმე დღის შემდეგ დამირეკეს პოლიციიდან და მითხრეს – თქვენ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და დაკითხვაზე მობრძანდითო! მივედი... ჩემს შეკითხვაზე – ამ პროვოკატორისა და თაღლითის გამო სისხლის სამართლის საქმე რატომ აღძარით, როცა საქმე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს მეთქი? – მიპასუხეს – **ზაზა მაღლაფერიძემ მითხრა, რომ ტკივილი განიცადა და ჩვენ ვალდებული ვიყავით, ამის გამო სისხლის სამართლის საქმე აღგვეძრაო!** მოკლედ, ეს თაღლითები, რომლებსაც მილიონების ქონება აქვთ მითვისებული და ასეულობით ადამიანი ჰყავთ „გადაგდებული", აქეთ გადმოვიდნენ შეტევაზე, რათა ყველაფერი შერჩეთ და გაღმა შეედავეს პრინციპით ფონს გავიდნენ!

● **რას აპირებთ?**

**– 2022 წლის 8 ივლისს მე და ამხანაგობა „გოგებაშვილი 34"-ის თავმჯდომარემ მარინა ზურაბიშვილმა** ზაზა მაღლაფერიძესა და ნუნუ გინტურს გენერალურ პროკურატურაში ვუჩივლეთ, ხოლო უახლოეს მომავალში ვაპირებთ საქართველოს იუსტიციის მინისტრთან **რატი ბრეგაძესთან** შეხვედრას, რომელსაც ადეიშვილის „ღამის ნოტარიუსის" **ნუნუ გინტურის** დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ მაკომპრომეტირებელი მასალები უნდა წარვუდგინოთ!

იმედია, სამართალი პურს შეჭამს და ეს თაღლითები და ნაძირალები, რომლებსაც ნაცსექტანტი მფარველები სასამართლოსა და პროკურატურაში დღემდე ჰყავთ, ბოლოს და ბოლოს, საკადრის პასუხს მიიღებენ!

**ესაუბრა დიტო ჩუბინიძე**
**გაზეთი „ასავალ-დასავალი" 2022 წლის 18-24 ივლისი.**

## SOS
# წყალში ვდგევართ, ცეცხლი გვიკიდია

**რამდენიმე დღის წინ რედაქციაში ბორჯომის ქეთევან წამებულის ქუჩის მაცხოვრებლების სატელეფონო ზარი გაისმა. მოსახლეობა გვთხოვდა ადგილზე მისვლას და იქ არსებული სიტუაციის შესწავლას. აღნიშნულ მისამართზე დროულად მივედი. ადგილზე მისულს საშინელი სიტუაცია დამხვდა. კანალიზაციის წყალი სასმელი წლის ჭიდან, სულ რაღაც 20-25 სანტიმეტრის დაშორებით შუა ქუჩაზე მოედინებოდა. თუმცა საშიშროებას, არსებულ კანალიზაციას სასმელი წყლის ჭასთან სიახლოვის გარდა, რამდენიმე სანტიმეტრით დაცილებული 1000 ვოლტიანი, მიწაში ჩაფლული დენის კაბელები ქმნის. როგორც მოსახლეობამ აღნიშნა, არსებულ კაბელებზე წყლის მოხვედრა უდიდესი საფრთხის შემცველია, ვინაიდან, აღნიშნულ კაბელებზე წყლის ჩაჟონვის შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ ახლომდებარე ტერიტორია აფეთქდეს. როგორც ქეთევან წამებულის ქუჩაზე, ასევე მის ახლომდებარე ქუჩებზეც მრავლადაა როგორც ჩვეულებრივი, ასევე საოჯახო ტიპის სასტუმროები, სადაც უამრავი დამსვენებელი ისვენებს. არსებული ქუჩა ერთ-ერთი ახლომდებარე ქუჩა გახლავთ ცენტრალურ პარკთან. პარკშიც სწორედ აღნიშნული ქუჩის გავლით ხვდებიან ახლომდებარე სასტუმროებში თუ კერძო სახლებში მყოფი დამსვენებლები. როგორც მოსახლეობამ აღნიშნა, მათ ქუჩაზე მოხვედრილი ადამიანები, განსაკუთრებით კი უცხოელი ტურისტები, საშინლად შეწუხებულები დადიან და თითქმის ყველა გამოთქვამს უკმაყოფილებას იქ არსებული ანტისანიტარიის გამო.**

**ზაირა ლომიძე (ქეთევან წამებულის ქუჩის მცხოვრები):** – კანალიზაციამ ჩემი სახლის წინ, დაახლოებით 25 ივნისს ამოხეთქა. დავრეკეთ, მოვიდნენ, რაღაცეები შეაკეთეს. ოქმზე ხელი მომაწერინეს და წავიდნენ. ისევ რომ ამოხეთქა, დავრეკეთ მეორედ. მოვიდნენ და ჩემი ეზოს შუაგულში ამოთხარეს. კიდევაც ვუთხარი, რას ეძებთ. უნდა მოვთხაროთ, რომ საბოლოოდ ჩამოვყალიბდეთო, მაგრამ არანაირი შედეგი არ მისცა ამ ამოთხრამაც. იმის შემდეგ აღარც მოსულან. მხოლოდ 4 აგვისტოს მოვიდნენ. მოიყვანეს მანქანა და რაღაც გაატარეს თითქოს, მაგრამ დაზიანება არ აღმოფხვრილა.

ჯერ კიდევ წლების წინ, როდესაც მიწაში ათავსებდნენ ძაბვის ხაზებს მაშინ ვუთხარი, რომ იქნებ შუაში მოათავსოთ ეს ხაზები, მაგრამ ჩვენ ნახაზში ასე გვიწერიაო და ხედავთ, ახლა რაც ხდება. ეს კანალიზაციის წყალი, სადაც ჩადის იმ გაყოლებაზე მოწყობილია 1-ლარიანი პარკინგი, არის ორმხრივი მოძრაობა და გუშინ რომ მანქანა მოვიდა, ისიც ძლივს მობრუნდა. სრული განუკითხაობაა. ჯერ ამხელა პრობლემა და ანტისანიატარიაა, საღამოს საათებში, ხომ საშინელი სუნიც თან ერთვის და ტექნიკა რომ მოვა, ისიც ვერ მობრუნდება წესიერად, ეს კიდევ ცალკე პრობლემაა.

**ვლადიმერ მესხი (ქეთევან წამებულის ქუჩის მცხოვრები):** – ამ დილით თბილისში დავრეკე ცხელ ხაზზე და კატეგორიულად მოვთხოვე, რომ თბილისიდან მაინც მოახდინონ რეაგირება, ჩაიწერეს მონაცემები, ავუხსენი სიტუაცია. ხელმძღვანელების ნომერს ვერ მოგცემთო, თუმცა გადავცემთ და დღის განმავლობაში ელოდეთ რეაგირებასო. რამდენი საათი გავიდა, მაგრამ უკვე მაგათი იმედიც არ მაქვს. ხომ შეიძლება, რომ მუნიციპალიტეტის მერიიდან ვინმე პასუხისმგებელმა პირმა დილის საათებში შემოიაროს და საკუთარი თვალით ნახოს, რა ხდება ქუჩებში. პატრონი არ გვყავს.

**მაყვალა სანდაძე (ქეთევან წამებულის ქუჩის მცხოვრები):** – ჩვენც გაგვიფუჭდა ამას წინათ საკანალიზაციო სისტემა და ჩემ შვილს მილების გამოცვლიანად 500 ლარი დაუჯდა. როდესაც გარეთ, ქუჩაზე ასეთი მდგომარეობაა. დაზიანება ვისაც ეხება, მეტი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს. რაც მთავარია აქ ვცხოვრობთ ხალხი, ბავშვები გვყავს და ნამდვილად ვიტყვი ხმამაღლა, რომ ბორჯომს მეტი გულისხმიერება სჭირდება.

**მარგალიტა ხითარიშვილი (ქეთევან წამებულის ქუჩის მცხოვრები):** – როგორც ხედავთ, სასმელი წყლის ჭა თავახდილია, რომელიც სულ სავსეა ხოლმე. იმის მეშინია, რომ სასმელ წყალს არ შეერიოს კანალიზაციის წყალი და ამდენი ხალხი არ დაიწამლოს. როგორ შეიძლება, რომ ჩვენ გვავალდებულებენ მიწის სამუშაოებს, როდესაც ქუჩაა და თვითონ უნდა შეასრულონ. ჩვენ გვეკუთვნის საკუთარ ეზოში დაზიანების აღმოფხვრა, და კარგად ხედავთ, რომ ეზოების გარეთ, შუა ქუჩაზე მოედინება კანალიზაცია.



**P.S. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ სატკივარზე მაცხოვრებლებმა გულღიად, დაუფარავად ისაუბრეს, თუმცა გულისტკივილით გვისაყვედურეს, რომ ჩვენი ადგილობრივი მედია სულ კარგ ამბებზე და მხოლოდ გაკეთებულ საქმეებზე წერთო. არა ბატონებო, დარწმუნებით გეტყვით, რომ ჩვენ მუდამ ვცდილობთ, ვიყოთ თქვენი ხმა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ნამდვილად ,,მოყვარეს პირში უძრახე"-ს პრინციპით ვხელმძღვანელობთ ნებისმიერ სიტუაციაში და მითუმეტეს ქალაქში, რომელიც ყველასია და თითოეული ადამიანის, ადგილისა თუ ქუჩის პრობლემას ჩვენ საკუთარ, პირად პრობლემად აღვიქვამთ.**

მოამზადა **ნატო მელიქიძემ**

# ვიოლეტა ბალახაშვილი – 70

# დაუვიწყარი ღონისძიების შესანიშნავი ორგანიზატორი

## ვულოცავთ!

**რაიონის კულტურული ცხოვრების ფრონტზე მუდამ წინა ხაზზე მყოფს და მებრძოლს, უამრავი საინტერესო ღონისძიების ჩამტარებელს, თავის დროზე წინაპართა საგანძურის უზადო დამცველს, ამჟამად მაღალმთიანი სოფლების: ტაძრისის, საკირის და დგვარის წარმატებულ მაჟორიტარ დეპუტატს, სახალხო დღესასწაულის ,,მთაწმინდელობის“ დამფუძნებელს, რაიონის გამორჩეულ საზოგადო მოღვაწეს, ღირსებით სავსე ბედნიერ დედას და ბებიას**

**ქალბატონ ვიოლეტა ბალახაშვილს**

**ვულოცავთ დაბადების 70 წლის საიუბილეო თარიღს! კიდევ დიდხანს ელვაწოს საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ!**

**გაზეთ ,,ბორჯომის“ რედაქცია.**



## წინაპართა საგანძურის უზადო მცველი

**დიდია** ქალბატონ ვიოლეტა ბალახაშვილის წვლილი ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განვითარებაში. **თუ დღეს ბორჯომის მუზეუმი რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესოა და მას სპეციალისტები და კოლეგები ქებით მოიხსენიებენ, ამაში ლომის წილი ქალბატონ ვიოლეტას მიუძღვის.** მუზეუმში დირექტორად დანიშვნის დღიდან შეეჭიდა ურთულეს საქმეს, რასაც ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი თუ უძრავი ძეგლების დაცვა ჰქვია.

1987 წელს მაშინდელი ბორჯომის რაიონისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელთა დავალებით ქალბატონი ვიოლეტა თერთმეტი წლის დაკეტილი ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად დანიშნეს, სადაც ექსპონატები – ნახევრად მიწაში მყოფ ე.წ. ფონდსაცავში – პირდაპირ მიწაზე დაყრილი დახვდა. იმ პერიოდში მუზეუმში კაპიტალური რემონტი მიმდინარეობდა, რომელიც წლობით გრძელდებოდა. დიდი შრომის ფასად ფონდსაცავებიდან ამოკრიფეს დანესტიანებული, გაშავებული წიგნები და ექსპონატები, დაწმინდეს, დააშრეს და ყველას თავისი ადგილი მიუჩინეს. **ქალბატონმა ვიოლეტამ და მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად თავდაუზოგავი შრომის წყალობით 1987 წლის 18 სექტემბერს 11 წლის დაკეტილი მუზეუმი** საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივნის გურამ ენუქიძის, ბორჯომის რაიკომის პირველი მდივნის თენგიზ პეტრიაშვილისა და სხვა ხელმძღვანელი სტუმრების თანდასწრებით, **სახალხო დათვალიერებისთვის საზეიმოდ გახსნა.**

მისი დირექტორობის პერიოდში მუზეუმის ექსპონატების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, თანამშრომლებს მუზეუმში ბორჯომის რაიონის მასშტაბით მოჰქონდათ სხვადასხვა სახის და მასალის უნიკალური ექსპონატები, რომლებიც დღესაც თავიანთი ისტორიული მნიშვნელობით იწონებენ თავს.

ჟამთა სვლა და საზოგადოებრივი წყობილების შეცვლილი ფორმაცია მოითხოვდა მუზეუმში ექსპოზიციების გადახალისებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით და ქალატონი ვიოლეტას ინიციატივით მუზეუმში შემოსული მასალების სიუხვემ შესაძლებელი გახადა 1987 წელს მუზეუმის ეზოში მოწყობილიყო არქეოლოგიური მოედანი სახელწოდებით „მუზეუმი ღია ცის ქვეშ“. აქ განლაგებული იქნა ბორჯომის რაიონში მოპოვებული, სხვადასხვა სახის და დანიშნულების მქონე ქვის ექსპონატები (არტეფაქტები), რომლებიც საუკუნეების მიღმა გვახედებენ.

1991 წლის 13 ივნისს ჩვენი თანამემამულის ცნობილი არქეოლოგის **ვახტანგ ლიჩელის ხელმძღვანელობით** მუზეუმში პირველ სართულზე უაღრესად საინტერესო არქეოლოგიური განყოფილება გაიხსნა. ექსპოზიციის დათვალიერებისას საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრები და სპეციალისტები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, ამიტომაც იყო რომ კულტურის სამინისტრომ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბაზაზე არაერთი სამეცნიერო – თეორიული კონფერენცია ჩაატარა.

ქალბატონი ვიოლეტა მუზეუმში მოღვაწეობის დროს ეწეოდა საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო საქმიანობასაც, მას მუზეუმში ჩატარებული აქვს მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიება. მისი ინიციატივით რაიონის საზოგადოება შეხვდა საქართველოს სასიქადულო მამულიშვილებს, საზოგადო მოღვაწეებს. მათ შორის: მწერალ ლევან სანიკიძეს, სახელოვან ფოლკლორისტს ვახუშტი კოტეტიშვილს, არქეოლოგ ოთარ ლორთქიფანიძეს და ა.შ.

ბორჯომის მუზეუმიც, რა თქმა უნდა, ვერ აცდა ბნელ 90-იან წლებს, წლებს, როდესაც მთელ ქვეყანაში განუკითხაობა და ქაოსი სუფევდა. თუმცა საამაყოდ უნდა ითქვას ის, რომ, ამ პერიოდში მუზეუმში მრავალგზის არასასურველი პირების შეჭრის მიუხედავად, ერთი ექსპონატიც კი არ დაკარგულა, ერთი ექსპონატიც კი არავის გაუტანია შენობიდან. და ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, ქალბატონ ვიოლეტას და მისი იმ დროინდელი მუზეუმის თანამშრომლების დამსახურებაა. მისი ხელმძღვანელობის დროს ახალი ხიბლი და შინაარსი შეიძინა მუზეუმის ცალკეულმა განყოფილებებმა, **სულ მალე მეოთხე კატეგორიის მუზეუმს პირველი კატეგორია მიანიჭეს.**

არიან ადამიანები, რომლებიც დღენიადაგ ფუტკარივით შრომობენ, საზოგადოებისთვის სასიკეთო საქმეს აკეთებენ. ასეთ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება ქალბატონი ვიოლეტა ბალახაშვილი.

**ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები: თინათინი, აკაკი, თინიკო, გიორგი, თეონა, თათია, თეა, მაია, ქალბატონი ნინელი, ცინარი, ალგი, ასევე მუზეუმის დაცვის სამსახური დიდი სიყვარულით და პატივისცემით ვულოცავთ 70 წლის იუბილეს ქალბატონ ვიოლეტას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, გახარებას შვილებსა და შვილიშვილებში, უამრავ ლამაზ დღეს და წარმატებულ საქმიანობას ბორჯომისა და მთელი ქვეყნისა სასიკეთოდ!**

**თინათინ მამასტარაშვილი,**
**მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი**

## ჩემი საყვარელი მასწავლებელი

**საოცრად** სწრაფად გარბიან წლები; სადღაც შორს ბინდბუნდში ჩანს ჩემი ბავშვობა. მაგონდება 1977 წლის სექტემბრის მზიანი დილა. მაშინ VIII კლასის მოსწავლე ვიყავი. დაირეკა ზარი და ისტორიის გაკვეთილზე შემოვიდა ლამაზი, ცისფერთვალება ახალგაზრდა ქალი, თითქმის გოგონა, რომელმაც უცბად მოგვხიბლა ყველა; ისეთი სიყვარულით და მონდომებით გვიხსნიდა გაკვეთილს, რომ ყველა სულგანაბული ვისმენდით. საბედნიეროდ, ახალგაზრდა მასწავლებელი კლასის ხელმძღვანელადაც დაგვინიშნეს და ჩვენთვის ახალი, შინაარსიანი და მიზანდასახული ცხოვრება დაიწყო. მაშინ სწავლა ათკლასიანი იყო. სამმა წელმა მალე გაირბინა. როდესაც პროფესიის არჩევაზე მიდგა საქმე, მე სამშენებლოზე ვაპირებდი სწავლის გაგრძელებას; დავწერე თემა ,,ჩემი მომავალი პროფესია“. ჩემი კლასის საყვარელი ხელმძღვანელი **ვიოლეტა ბალახაშვილი** აღელვებული შემოვიდა კლასში და ცხოვრებაში პირველად საყვედურებით ამავსო: შენ ისე გიყვარს ისტორია, ისე კარგად გამოგდის თხრობაც და კვლევაც, რომ მე ეჭვიც არ შემპარვია, რომ შენ სხვა პროფესიას აირჩევდიო. კატეგორიულად მომთხოვა შემეცვალა გადაწყვეტილება; მე გავჯიუტდი, ვცადე დამესაბუთებინა ჩემი არჩევანის სისწორე, მაგრამ უშედეგოდ. ქალბატონმა ვიოლეტამ საბოლოოდ გადამიბირა და დამაფიცა, აუცილებლად ისტორიკოსი გავმხდარიყავი. ეს ფიცი ჰანიბალის ფიცივით მტკიცე გამოდგა და მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა, (მაშინ ისტორიის ფაკულტეტს რაიკომის მდივნების ფაკულტეტს ეძახდნენ და არნახული კონკურსი იყო) წარჩინებით დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

სწორედ იმ წელს ქალბატონ ვიოლეტას შესთავაზეს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორობა და მოსთხოვეს შემცვლელად სკოლაში მოეძებნა ღირსეული კანდიდატი. მე ამ დროს ვმუშაობდი ბორჯომის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროში ექსკურსიამძღოლად. ჩვენი შეხვედრა შემთხვევით, ალბათ უფლის ნებით, მოხდა ბორჯომში, რუსთაველის მოედანზე. ხანმოკლე გასაუბრების შემდეგ შევთანხმდით, რომ მე გადავიდოდი სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. მალე ასეც მოხდა. 1987 წლიდან ვარ ტაძრისის საშუალო სკოლის მასწავლებელი, თუმცა პარალელურად, 1990-1997 წლებში ვმუშაობდი თსუ ახალციხის ფილიალში შუა საუკუნეების ისტორიის მასწავლებლად, 2003-2010 წლებში ვიყავი ტაძრისის საჯარო სკოლის დირექტორი.

ქალბატონმა ვიოლეტამ ჩაიბარა ხანგრძლივად სარემონტოდ გამოკეტილი და მივიწყებული მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ,,რკინის ქალამნები“ ჩაიცვა, ყველა შეაწუხა, ყველასთან მიიტანა მუზეუმის გასაჭირი და ყინულიც გალღვა: შენობის რემონტი დასრულდა, ექსპონატები გამოფინეს, მუზეუმმა ფუნქციონირება დაიწყო და უამრავ სტუმარს ღებულობდა.

მე პირადი ნაცნობობა და მეგობრობა მაკავშირებს ახალციხის, ხაშურის, გურჯაანის მუზეუმების მაშინდელ დირექტორებთან, აგრეთვე თსუ ახალციხის ფილიალში მომუშავე პროფესორ-მასწავლებლებთან. საკმარისია ვინმესთან ვახსენო ქალბატონი ვიოლეტას სახელი, რომ თვალები სიამაყით გაუბრწყინდებათ და არ გაიხსენებენ მასთან ურთიერთობის დეტალებს; აღნიშნავენ მის გულისხმიერებას, ყურადღებიანობას, მაღალ ინტელექტს, პატრიოტიზმს, მტკიცე ნებისყოფას და მიზანდასახულობას.

სწორედ ეს თვისებები გამოარჩევს ქალბატონ ვიოლეტას ყველასგან და ეხმარება, იყოს გამორჩევით წარმატებული ყველგან, სადაც კი მას ცხოვრების განმავლობაში უმუშავია.

ამას დავუმატოთ ისიც, რომ ქალბატონი ვიოლეტა არის სამი წარმატებული შვილის რატის, რიტას და ვასიკოს დედა, არის ათი შვილიშვილის უსაყვარლესი ბებია, მრავალი მოსწავლის აღმზრდელი საფიცარი მასწავლებელი; ცხოვრების ყველა სფეროში წარმატებული პიროვნება; სამი სოფლის ტაძრისის, საკირის, დვირის ორგზის მაჟორიტარი დეპუტატი, უამრავი კეთილი საქმის ორგანიზატორი და გამკეთებელი.

ქალბატონო ვიოლეტა, სულითა და გულით გილოცავთ დაბადების 70 წლის იუბილეს! ღმერთმა ორ მაგდენს კიდევ დაგასწროს! სრული ბედნიერებისათვის სანატრელი იქნებოდა, ამ იუბილეს თქვენი მეუღლე, ცხონებული ამირანი და დედა მერი მასწავლებელიც მოსწრებოდნენ. აი, მაშინ იქნებოდა მართლა იდეალური ზეიმი!

**ღმერთი გფარავდეს!**
**პატივისცემით შენი მოსწავლე**
**კობა მეტრეველი**

## ქალაქის კოლორიტი

**ადამიანები** ქმნიან ქალაქის ისტორიას. როგორ? **„საქმემან შენმან გამოგაჩინოსო“** – ნათქვამია და ასეც არის, თუ დავაკვირდებით პიროვნების განვლილ გზას. ჩემთვის დიდი პატივია ვწერო ქალბატონ **ვიოლეტა ბალახაშვილზე,** რადგან მასზე ჩემზე ბევრად გამოცდილმა პროფესიონალმა და მასთან მეგობრობაში, საერთო საქმეში გამობრძმედილმა ადამიანმა უნდა აიღოს კალამი. თუმცა სიტყვა იმგვარია, თუ მეტნაკლებად იცი ადამიანის ნამოღვაწარი, გათქმევინებს ყველაფერს გულწრფელად. **წლების წინ თუკი ბორჯომში რამე ღონისძიება ტარდებოდა, ლოკაცია გახლდათ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.** მიკვირდა, რატომ ტარდება ყველაფერი იქ, – მუზეუმში. მალევე ნათელი გახდა პასუხი: ხელმძღვანელზე ძალიან ბევრია დამოკიდებული! უფროსის მოტივაციაზე! ეს ეტყობოდა კიდეც ამ შენობას! პოეტისთვის საღამოს მოწყობა იქნებოდა, თუ რაიონში სოლიდური სტუმრების – მეცნიერების ჩამოსვლა – საზოგადოებას ეცნობოდა მუზეუმის სივრციდან. დიახ, როცა მე გავიცანი ქალბატონი ვიოლეტა, ის მუზეუმის დირექტორი გახლდათ. ცოდვა გამხელილი ჯობიაო, იტყვიან, – მის თანამდებობას მაშინ უფრო ღონისძიებების მომწყობს უფრო დავარქმევდი. თვითონაც ასეთი საღამოების დასაწყისში აღნიშნავდა, თუ მერამდენე ღონისძიება იყო ეს და ასე თვალსა და ხელს შუა იმატებდა ეს რიცხვიც დაუსრულებლად. ამ პიროვნებისთვის ეს იყო საქმე უშურველი გულით გაკეთებული და თვითონაც სიამოვნებას იღებდა ამ პროცესით. ამაში მკითხველი უთუოდ დამეთანხმება. გადის წლები და ის ჩამოაშორეს ამ თანამდებობას და, მართალია, აღნიშნული სიკეთეების მოწყობა ქალაქისთვის ახლა სადაც არის, იქიდანაც ახერხებს და შეიძლება, მაგრამ... არის ,,დიდი მაგრამ...“ რასაც მე, ერთი რიგითი ადამიანი ყოველთვის ვგრძნობ, რომ ეს იყო ერთ-ერთი გარდამტეხი ტკივილიანი გადაწყვეტილება ამ ქალბატონისთვის. შინაგანად ეს დღესაც ადვილი დასანახია – მისი სევდიანი სახე, როცა ის მუზეუმზე საუბარს შეეხება. და.. როგორ გინდა არ შეეხო, როცა ცხოვრების ძალიან ბევრი წელი იყავი მესაჭე ყოველივე კულტურული ღონისძებისა, მუზეუმის ყოველდღიურობას სიცოცხლეს სძენდა... ეს ერთი მხარე ამ ადამიანის „მხარეთმცოდნეობის“ შესახებ! ახლა მინდა მეორე – პიროვნული მხარე გავხსნა მისი, რასაც დიდი ამოცნობა და „მარჩიელობა“ არ სჭირდება. მისი გამორჩეული სტილი, თუნდაც საუბრისა, თუნდაც ადამიანებთან დამოკიდებულებისა არის ყველასგან სხვანაირი – ტკბილმოუბარია! ასეთი კიდევ ვინ გახსენდებათ, ენითმლოცველი? უბრალოდ, ქუჩაში შეხვედრისას, ორ წუთშიც შეუძლია ჩაატიოს დიდი სითბო, ისე დაგლოცოს – იფიქრო, საიდან ეს ამდენი შინაგანი სურვილი, ადამიანებს უსურვო ამდენი კარგი?.. არადა, პიროვნულად ბევრი ტკივილის გადამტანი დააბიჯებს. ყველას რომ გაკვირვებას უტოვებს – აი, როგორ დგას ფეხზე, როგორ იბრძვის სიცოცხლისთვის, რამდენად შეუძლია იყოს საოცრად ოპტიმისტი, რომ ირგვლივ მყოფებს დაანახოს მაგალითი, – აქ კი არ მთავრდება ბრძოლა საკუთარი ჯანმრთელობისთვის, არამედ გრძელდება, თუ სულით, ხორცით, რწმენით ხარ უფალთან ნაზიარები! რამდენად თანამდგომია ის მეზობლებისთვის, ახლომყოფებისთვის, ამის საჩვენებლად ერთ მცირე ნათელ მაგალითს მოვიყვან: გაგანია პანდემიის დროს, როცა ბორჯომშიც კი დღეში რამდენიმე პაციენტი იღუპებოდა კოვიდით, მის მეზობლად ცოლ-ქმარი შეიწირა ამ ვერაგმა სენმა. სამძიმარზე მისვლას ხალხი უფრთხოდა. მხოლოდ ჭირისუფალნი ვისხედით და ამ დროს ჩვეული სიმშვიდით, გულისტკივილით სავსე, სამძიმრის ტრადიციის აუცილებლობით გააზრებული ნაბიჯით შემოდის ქალბატონი ვიოლეტა. ეს იყო ჩვენთვის იმხელა გამბედაობა, ისეთი გამხნევება იმწუთიერი, რომ ერთმანეთს გადავხედეთ. მადლობას მას ამისთვის დღეს ამ მცირე წერილით ვეუბნები. ადამიანებს განსაზღვრავს თავიანთი ქმედებები და ამაში არაერთხელ დავრწმუნდი!

70 წლის იუბილე ცხოვრებისთვის არც ბევრია და არც ცოტა იმ გაგებით, რომ აკეთო შენი ქვეყნისთვის, შენი ქალაქისთვის საქმე, რომელიც გიყვარს. ქალბატონ ვიოლეტაზე საიუბულეოდ მიძღვნილი კიდევ ათასჯერ უკეთესი სიტყვა და წერილი დაიწერება, მაგრამ მე მაპატიეთ, თუ ასე მოკრძალებულად შემოვიფარგლე. მინდა ვიფიქრო, რომ ამ ეპიზოდებითაც მკითხველმა მკაფიოდ დაინახა მისი კოლორიტული პორტრეტი!

**მაია ჯანიძე**

## ღვთით მოვლენილი

**ამა წლის 11 აგვისტოს იუბილეს ზეიმობს ჩვენი ბორჯომის ხეობის გულის გამხარებელი, ამაგდარი ქალბატონი – ვიოლეტა ბალახაშვილი**

როგორ ამშვენებს ვარსკვლავების სხივთა თბუნება,
და მთვარის შუქზე მზის სხივები არ ითრგუნება,
ამ სილამაზეს, სიდიადეს ამშვენებს ქალი,
– ვით მოვლენილი, მოამაგე, ვით ნატვრის თვალი!
მრავალთა შორის მას ეწაფვის სამშობლოს ვალი,
საც ფესვებია ,,ბერმუხისა“ – აღმოსავალი,
ბორჯომს უწოდეს კოლოსებმა ,,სამოთხის დარი“,
სადაც ნელ-ნელა მოდუდუნებს მდინარე მტკვარი!..
ბარათაშვილი, ცრემლით სავსე, – წყლისა პირს მჯდარი,
ქართლის ბედს ევედროდა თვით ცოცხალ-მკვდარი,
ადრე თუ ასე მოწყენილი იყო ბუნება,
– დღეს ყოვლით აღმაფრენით ლაღობს გუნება!
,,დედა ქართლისა“ გადმოჰყურებს თბილისს, ვით შვილი,
რწმენის იმედით ,,იცრემლება“ სანთლების ცვილი,
ბორჯომის ზეცას ,,ქართლის დედას“
ჰყავს თავის ,,წყვილი“, –
ღვთით მოვლენილი – ვიოლეტა ბალახაშვილი!..

**რუსლან ჯანიძე**

# ვულოცავთ!

გაზეთ ბორჯომის რედაქტორს, ბატონ ვალერიან ლომიძეს ვულოცავ დაბადების 80 წელს. ჯანმრთელობა, მხნეობა და სიცოცხლის ხალისი არასოდეს მოკლებოდეს სალად მოაზროვნე მხნე და ენერგიულ პიროვნებას. კიდევ მრავალი წელი გაელიოს გაზეთის და ხალხის სამსახურში!



ლომის ჰოროსკოპით იშვა,
ლომიძეა მისი გვარი,
გაზეთ „ბორჯომს" ემსახუროს,
ერგო კალმის მძიმე ჯვარი.
ერთმანეთისგან გამოყოს
სიმართლეა, თუ ჭორი,
ხალხის სამსახურში დგანან,
გაზეთი და რედაქტორი.
თამადადაც ბრწყინვალეა,
ძებნა არ სჭირდება სიტყვის,
არასოდეს დაეკარგოს
ბგერებს ხალისიც და რიხიც!
რედაქციის შენობაში,
კიდევ მრავალ წელს გვეხილოს,
გაზეთის და რედაქტორის
საუკუნეც აღგვენიშნოს!!! .
სმენაც სმენობს, თვალიც გიჭრით,
ვაჟკაცური ჯანიც გდევდეთ,
დ ი ი დ მადლობას მოგახსენებთ,
რაც ლექსები დამიბეჭდეთ!
სხვა საშველი ვერსად ვპოვე,
ლექსი კვლავ რომ დაგიწეროთ,
სტატიას და ლექსის გარდა,
წიგნიც უნდა დამიბეჭდოთ!

პატივისცემით
**იზო სარქისიანი.**

## ამხანაგი ავთანდილ გელაშვილი 89 წლისაა



**გაზეთ „ბორჯომის" რედაქციის კოლექტივი ულოცავს ამავე გაზეთის პირველ ფოტორეპორტიორს ავთანდილ გელაშვილს დაბადების დღეს, რომელიც 60 წლის მანძილზე თავისი ფოტოაპარატით ქმნიდა ბორჯომის ისტორიას. მისი გადაღებული ფოტოები უნიკალურია, ამიტომაც ინახება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ამხანაგი ავთანდილი ზედმიწევნით კეთილი, მოსიყვარულე, გულისხმიერი და კარგი ოჯახის პატრონია.**

**ვუსურვებთ ჯანმრთლობას და დიდხანს სიცოცხლეს.**

**გაზეთ „ბორჯომის" რედაქციის კოლექტივი.**

## კულტურის ერთგული მსახურები

# ეყვარებათ ქართული სიმღერა



**ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის ღია ფანჯრებიდან ხშირად შეძლებთ ყური მოკრათ იადონის ხმას, რომელიც ამავე სკოლის პედაგოგს, ვოკალისტ ცირა პავლიაშვილს ეკუთვნის. 29 წელი არ არის ცოტა დრო, რაც ქალბატონი ცირა უძღვება ჩაბარებულ ქართულ საქმეს - შეასწავლოს და შეაყვაროს სიმღერა პატარებს. პედაგოგიური მოღვაწეობის პირველ პერიოდში ფორტეპიანოს ასწავლიდა, მაგრამ შემდეგ სურვილი გაუჩნდა ვოკალური კლასი შეექმნა. მართლაც, გაამართლა ამ ნაბიჯმა. ამაზე კი შედეგი მეტყველებს: აღსაზრდელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ვოკალურ კონკურსებში, აღწევენ წარმატებებს, აიღეს გრანპრი კონკურსში „მომავლის ვარსკვლავები", ხოლო კონკურსში, სახელწოდებით „სხვა საქართველო სად არის" 400 მონაწილედან სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში მოიპოვეს პირველი და მეორე ადგილი. მისი შეგირდები მეტწილად გოგონები არიან. კლასში სულ 24 მოსწავლე ირიცხება. მაგრამ თუ კარგი მონაცემით მოვიდა ბავშვი, ასეთ შემთხვევაშიც არ უშვებს უკან, რომ არ დაიკარგოს ნიჭი.**

● **ცხოვრებაში თითქმის ყველა ადმიანს ჰყავს ეტალონი მასწავლებელი, თქვენთვის ვინ არის ასეთი პიროვნება, დღემდე მისაბაძი?**

- „ჩემთვის მისაბაძი პიროვნება გახლავთ გორის ქალთა გუნდის დამაარსებელი, ჩემი მაესტრო **შალვა მოსიძე,** დაუღალავი და საქმის პროფესიონალი. მქონდა ბედნიერება, მის გუნდში მემღერა 10 წელი. მან მაზიარა საგუნდო ხელოვნებას, სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი ჩემი საქმისადმი სიყვარულს.

● **რას ნიშნავს თქვენთვის მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის პროცესი?**

- ინდივიდუალრად მოსწავლესთან მუშაობა საინტერესოა, პირველ რიგში, ახლოს ეცნობი მოსწავლეს, უფრო იგებ მის შესაძლებლობებს და შემდეგ ვცდილობ, გამოვძერწო ისე, როგორც მესახება. თუ, რა თქმა უნდა, მოსწავლისგანაც მოდის ორმხრივი იმპულსი და მზაობა.

მქონდა ასეთი შემთხვევაც, როცა მოიყვანეს პატარა გოგონა. ძალიან უნდოდათ მშობლებს, რომ ესწავლა სიმღერა, მაგრამ მას არ ჰქონდა მუსიკალური მონაცემები, ძალიან გამიჭირდა მასთან მუშაობა, მაგრამ შედეგზე გავედით, თან კარგად მღერის. ეხლა უკვე დიდი გოგონაა და შარშან კონკურსზე სახელობითი პრიზიც მიიღო .

● **რა შეუძლია პროფესიონალ მასწავლებელს? პირველ რიგში, რომელი უნარების ჩამოყალიბებაზე გიწევთ ზრუნვა?**

— ვცდილობ, ყველა ჩემი მოსწავლე ქართულ გემოვნებიან სიმღერას ვაზიარო. რა თქმა უნდა, ყველა ვერ იმღერებს ისე, როგორც მასწავლებელს სურს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იქნებიან კარგი მსმენელები და, რაც მთავარია, ეყვარებათ ქართული სიმღერა.

ესაუბრა **მონიკა ქანტურია**

## ნანი ბეშკენაძის მოსაგონარი



**ნანი, ჩემო ძვირფასო, სულით ძლიერო, ჩემო უღალატო და უერთგულესო მეგობარო და მეუღლევ, 22 წელი გავიდა, რაც მარადიულობაში დაიდო ბინა შენმა სპეტაკმა სულმა. 22 წელია, რაც ოჯახის ჭაპანს მარტოდმარტო უშენოდ ვეწევი. დავიღალე ნანი, მაგრამ შენი დიდი სიყვარული მაძლებინებს, შენ ჩემს გულში გაქვს სავანე, ჩემს გულში დაიდე ბინა. ვუძღვები ოჯახს, შვილებს და შვილიშვილებს, ამას შენდამი დიდი სიყვარული მავალდებულებს.**

**ნანი ძვირფასო, ჩვენი სამივე შვილი დაოჯახდა, 6 შვილიშვილის პაპობით ვამაყობდი და ახლა მეშვიდე შვილიშვილიც გოგონა შეგვეძინა, რომელსაც შენი სახელი ნანუკა დაარქვეს მშობლებმა, შენს სახელზე პატარა ანგელოზი გვეზრდება. ყველა თავს დაჰფოფინებს პატარა ნანის, უფალმა ჯანმრთელი და საამაყო გაგვიზარდოს. ამინ!**

**8 აგვისტოს, შენს დაბადების დღეზე შეიკრიბნენ ჩვენი შვილები, შვილიშვილები, ყვავილებისა და წმინდა საკმეველის სურნელით აივსო ირგვლივ ყველაფერი. მრავალი თაფლის სანთელი აანთეს იმ დღეს შენს სახელზე, უფალს შეავედრეს შენი სპეტაკი სული, შვილებისთვის საფიცარო დედავ, ჩემთვის კი ერთადერთო და განუმეორებელო სიყვარულო.**

**ნანი ძვირფასო, ერთსაც გეტყვი: ჩვენ წლები კი არ გვაშორებს, გვაახლოებს ერთმანეთს. ჩემი ზარიც ჩამოჰკრავს და შენს გვერდით დავიდებ ბინას, მანამდე კი, ვლოცულობ შენი ნათელი სულისთვის, ჩვენი ოჯახის დედაბოძო.**

**მშვიდად განისვენოს შენმა ლამაზმა სულმა**

**ამინ!**

მეუღლე **ბექან ბეშკენიძე**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

რედაქტორის მაგიერ: უშანგი ჯანგირაშვილი

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №57. borjomi@inbox.ru

## ვალერიან ლომიძე - 80

# საიუბილეო საღამო

**4 აგვისტოს** ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დარბაზში ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ, ქალაქის საზოგადოებამ გაზეთ „ბორჯომის" რედაქტორის, ბატონ **ვალერიან ლომიძის** დაბადებიდან 80 წლის იუბილე აღნიშნა. სავსე დარბაზი მომსწრე გახდა თბილი მოგონებებით, დამსახურებებით, გემოვნებიანი მუსიკალური ნომრებით გაჯერებული ღონისძიების მომსწრე გახდა. როგორც იუბილარმა გვთხოვა, არანაირი პომპეზურობას არ უნდა ჰქონოდა ადგილი, უნდა ყოფილიყო უბრალო შეხვედრა. ბატონი რედაქტორი ხშირად ამბობს: რედაქტორობა სხვა არაფერია, თუ არა წერას ატანილი კაცის საქმიანობაო. მისი დაწერილი წერილი ვიღაცისთვის მხილება და ბასრი დანა იყო, ვიღაცისთვის არასასურველი მეხოტბეობა, მაგრამ დრომ აჩვენა, რომ მხოლოდ ბორჯომ-ქალაქისთვის კარგის მსურველს შეუძლია ეს გამბედაობა და სიმართლის ასე მოწოდება. ბატონი ვალერიან ლომიძე 1999 დააჯილდოვეს ღირსების ორდენით, 2012 წელს აირჩიეს ბორჯომის საპატიო მოქალაქედ, 2017 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის წოდება. ამ ყველაფრის პარარელურად არ შეუწყვეტია საზოგადოებრივი მოღვაწეობა. დღესაც ყველაზე პირველი ის აღებს რედაქციის კარს და ჩვენს მისვლამდე მუშაობს, წერს, ყოველწამიერად იმის ფიქრშია, როგორმე გაზეთმა ჰპოვოს სტაბილურად არსებობის შესაძლებლობა.

ბატონ ვალერიანს დაბადების დღე მიულოცეს ბორჯომის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა.** მათ განსაკუთრებული მადლობა ამ საღამოს ინიცირებისთვის და თანადგომისთვის. ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა **ეკატერინე ორჯონიკიძემ** საჩუქრად შემდეგი სურპრიზი გვაუწყა: იმისთვის, რომ გაზეთი იყოს ფერადი და მეტად კითხვადი, ერთი წლით გიფინანსებთ ამ კუთხით რედაქციასო. მადლობას ვუცხადებთ ქალბატონ ეკას ამ გულისხმიერებისთვის. კეთილი სურვილები არ დაიშურეს საკრებულოს დეპუტატებმა **ვიოლეტა ბალახაშვილმა, მერაბ იობაშვილმა.** ასევე პოეტებმა: **იზო სარქისიანმა და რუსლან ჯანიძემ** ლექსები მიუძღვნეს იუბილარს. მოწვეულთა შორის სიტყვით გამოვიდნენ სრულიად საქართველოს საგვარეულო დარბაზის თავმჯდომარე **ირაკლი ბრეგვაძე,** „ლიტერატურული მესხეთის" რედაქტორი **ბატონი ავთანდილ ბერიძე.** საჩუქრები უხვად იყო, იმდენად საინტერესო და ყველა მათგანი იმდენად დასაფასებელი, რომ ალბათ მათ სამახსოვრო მნიშვნელობას ცალკე გვერდი უნდა დაეთმოს. 4 აგვისტოს იგრძნობოდა დიდი დაფასება, ნდობა,



პ ა -
ტივისცემა ახალი თაობისა ძველი თაობის მიმართ და ეს ყველაზე დიდი ჯილდოა, როცა შენი გარდამავალი ხიდი ხვალინდელი დღისა 80 წლის ისეთი აზრისა და ენერგიის მატარებელი პიროვნებისადმი.

მხარდაჭერისათვის და საღამოს გალამზებისთვის დიდი მადლობა ბორჯომის მერიის კულტურის სამსახურს - ბატონ **გოგიტა ბუგიანაშვილს,** ბორჯომის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელს **გაიოზ დვალიშვილს,** ბატონ **რობერტ ნადირაძეს,** ანსამბლებს: **„მზეშინასა" და „ბორჯომს",** სამუსიკო სკოლის მარგალიტებს: **მარინა ქიტიაშვილს და მარინე რატიანს,** მათ აღსაზრდელებს **მარიამ კიკალიშვილსა და ლევან ნოზაძეს;** ანსამბლ „ოქტავას" წევრს - **ნინო გრიგალაშვილს.**

**მონიკა ქანტურია**

## ციალა ლომსაძის მოსაგონარი



**13 აგვისტოს 40 დღე შესრულდა საყვარელი დედის ციალა ლომსაძის გარდაცვალებიდან. თუ ვინმეს შეხება ჰქონდა ვაშლოვანის საბავშვო ბაღთან 70–80-იან წლებში ყველას ემახსოვრება მომღიმარი ქალბატონი, რომელიც არ იშურებდა გარშემომყოფლთათვის სითბოსა და სიყვარულს.**

**მიუხედავად ღიმილიანი სახისა, დიდი ტკივილი ჰქონდა გადატანილი. 1977 წლის 8 მაისს, უფროსი შვილი 18 წლის მანანა გარდაეცვალა. 5 ადამიანი სოფელ ლარებთან ადიდებულმა მტკვარმა შეიწირა. ძალიან გაუჭირდა ამ ტკივილის გადატანა, მაგრამ თითქოს უფალმაც ისეთი საქმე მისცა საკეთებლად, რომ განელებოდა ეს ტკივილი და სევდა.**

**ბავშვებში ჰპოვა სიყვარული და სიცოცხლის ხალისი დაიბრუნა. ისინიც გრძნობდნენ ციალა მასწავლებლის სიყვარულს და ასევე სიყვარულით პასუხობდნენ. დღესაც თუ ვინმეს შეხვდებით მის ყოფილ აღზრდილს, ყველა დარწმუნდებით, თუ როგორ განსაკუთრებულად უყვარდა ციალა მასწავლებელს პატარა შეგირდები.**

**სამოქალაქო ომის წლებში მეუღლესთან ერთად სოფელში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მოქმედი ეკლესია დახვდა, რომლის მრევლიც გახდა. დაიწყო ეკლესიური ცხოვრება და შვება ჰპოვა. ქარგავდა წმინდანების ხატებს და ჩუქნიდა ახლობლებს, შვილებს, შვილიშვილებს.**

**მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ხარობდა შვილების და შვილიშვილების წარმატებებით. ბოლო 3 წელიწადში სიარული გაუჭირდა, მაგრამ ბოლომდე სალი გონებით იცხოვრა. თბილისში წასულ შვილიშვილებს ინტერნეტით ესაუბრებოდა, არავის დაბადების დღე არ ავიწყდებოდა. ყველა სიყვარულით მოიკითხავდა და ეფერებოდა. ბოლომდე იხარჯებოდა.**

**წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა მაგალითი, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა ამქვეყნად. პატიოსნებით, ღირსებით და მოყვასის სიყვარულით.**

**ჩვენ კი უფალს შევთხოვთ. ნათელში ამყოფოს მისი სული და დაუმკვიდროს ადგილი სასუფეველში.**

**ოჯახი.**



ტაძრისის სკოლის პედაგოგები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგის, მარგარიტა სამსონიძის მეუღლე
**მალხაზ შაყულაშვილი**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.